საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/43

19 მარტი, 2021 წ. ქ. ბათუმი

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ტურიზმის მენეჯმენტი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით ბსუ-ში რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, ,,2020 წლის 15 დეკემბერს აკრედიტებულ ,,ტურიზმის მენეჯმენტი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/22 დადგენილების, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის რ. ბერიძის 2021 წლის 16 მარტის MES 5 21 0000236989 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტურიზმის მენეჯმენტი" ჩარიცხვისათვის იმ მაგისტრანტებისთვის, რომლებიც სწავლობდნენ ბსუ-ს ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული შიდა რიგგარეშე მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2021 წლის 19, 20, 21 მარტი;

ბ) კრედიტების აღიარება - 2021 წლის 22 მარტი;

დ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განაცხადის რეგისტრაცია-2021 წლის 22, 23 მარტი;

ე) რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგების მიხედვით ბსუ-ს რექტორის ბრძანების მომზადება - 2021 წლის 23 მარტი;

3. მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტებმა 2021 წლის 19, 20, 21 მარტის 17 საათამდე ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე-portal.bsu.edu.ge, უნდა გადმოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.
5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.
6. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს სტუდენტებს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილე, პროფესორმა თამარ სირაძემ.
8. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილე თ. სირაძეს, ხარისხის მართვის სამსახურს და სტრუქტურულ ერთეულებს, (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ტურიზმის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. N 30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**